

2007 წლის დონორები



პროექტი:

ფონდის ტასო

სამშენებლობა

2007 წელს



სოფლად მსხოვრებ ქალთა ბაძლიერება ეკონომიკური საქმიანობისთვის და ჩართვა საზოგადოებრივ სხოვრებაში

სოფლად მცხოვრებ ქალთა ეკონომიკური ინიციატივების მხარდაჭერა OSGF ქალთა პროგრამამ 2004 წლიდან დაიწყო. მას შემდეგ საგრანტო კონკურსები ყოველწლიურად ტარდება. ჯგუფური და სატელეფონო კონსულტირების თენახვერიანი პერიოდის შემდეგ წინასწარშერჩეული პროექტების განხორციელებადობა ადგილებზე მოწმდება.

2007 წლის აპრილში ფონდმა გამოაცხადა კონკურსი **„ქალთა ეკონომიკური გაძლიერება“**. კონკურსში მონაწილეობდნენ სოფლელი ქალები და სოფლად მცხოვრებ ქალთა საინიციატივო ჯგუფები. სულ კონკურსის ფარგლებში ფონდში განსახილველად 60 განაცხადი შევიდა, აქედან ფონდის გამგეობამ წინასწარ შეარჩია 32 მათგანი. ამ პროექტების განხორციელებადობა შემოწმდა და საბოლოოდ, პროექტების ხარისხის, განმცხადებელთა სოციალური მდგომარეობისა და განხორციელების რეალისტურობის მიხედვით, ფონდმა 18 პროექტს დაუჭირა მხარი. ქალთა საინიციატივო ჯგუფებმა, კერძო პირებმა, ფონდის მხარდაჭერით კახეთში, იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში, ზემო აჭარაში, ხევში განახორციელეს პროექტები შემდეგი საქმიანობებისთვის: მცირე ბიზნესის ხელშეწყობი გარემოს შექმნა, ჩურჩხელის წარმოება, მეფუტკრეობა, სათევზე მეურნეობა, საცხობი, მეფრინველეობა, მეკურდღლეობა, ხალხური რეწვის სახელოსნო, სამკერვალო, სასათბურე მეურნეობა, კომპიუტერული ცენტრი, სასტუმრო სახლი.



გუგული ჭაღალიძის ოჯახი. გობრონეთი
Guguli Chagalidze family. Gobroneti



ქალთა ლიდერობის ტრენინგზე
At women's leadership training

ლებიდან ჩამოსულმა 80-მდე გოგონამ მიიღო მონაწილეობა. ბანაკის პროგრამა ითვალისწინებდა გოგონათა თვითმეფასების ამაღლებას, ლიდერობის უნარ-ჩვევების შეთვისებასა და სწავლებას ქალთა მიმართ ძალადობის დასაძლევად.

☀️ ფონდის „ღია საზოგადოება – საქართველო“ ეკონომიკური განვითარების პროგრამამ (OSGF EDP), ჩვენთან თანამშრომლობით, განახორციელა ოპერაციული პროექტი ჩვენი პროგრამის მონაწილე სოფლად მცხოვრებ ქალთა სწავლებისთვის მცირე ბიზნესის მართვის სფეროში. ამ პროექტის ფარგლებში ტრენინგის

☀️ საველე სამუშაოს შედეგად, მათ შორის პროექტების მონიტორინგის პროცესში, ბევრი აქტიური, გონიერი და საქმისადმი თავდადებული სოფლად მცხოვრები ქალი გავიცანი.

მათ შორის 11 ქალმა ფონდის ტასო ოფისში ლიდერობის უნარ-ჩვევების სატრენინგო კურსი გაიარა (ტრენერი: ზურაბ მხეიძე).

☀️ ფონდმა კვლავ თანადაფინანსა ბანაკი „გოგონები მართავენ მსოფლიოს“ (GLOW ბანაკი), რომელმაც, 2007 წელს საქართველოში თავისი წარმატების ხუთი წელი იხეიმა. ბანაკის ორგანიზატორებმა, მშვიდობის კორპუსის ამერიკელმა მოხალისეებმა, ჩვეულებისამებრ, საქართველოს ქალთა ორგანიზაციების ლიდერებიც მოიწვიეს ქალთა უფლებების სხვადასხვა საკითხების წარმოსადგენად ბანაკის ფარგლებში გამართულ სემინარებზე. ბაკურიანში გოგონათა ლიდერობის 2 ბანაკი ჩატარდა. მათში საქართველოს თითქმის ყველა რეგიონის სოფ-

და კონსულტირების ცენტრმა (CTC) ჩაატარა ორი 5-დღიანი ტრენინგი, რის შედეგადაც 40 ქალმა მიიღო განათლება შემდეგ საკითხებში: მეწარმეობა, მცირე და საშუალო ბიზნესის სტრატეგიები, ბაზარი და მარკეტინგული კომუნიკაციები, დისტრიბუცია, საგადასახადო კანონმდებლობა და სხვ.

პროექტის საპრეზენტაციო-საანგარიშო შეხვედრა OSGF-ის საკონფერენციო დარბაზში 1 დეკემბერს ჩატარდა. დამსწრეები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლები აღნიშნავენ პროექტის მნიშვნელობას და მისი მონაწილეების განსაკუთრებულ ენთუზუაზმს მათთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი ცოდნის მისაღებად.

არაჩვეულებრივად სასიამოვნო ატმოსფეროში ნამდვილ ზეიმად აქცია სოფლელ ქალთა კრება, რომლის ყველაზე საინტერესო ნაწილი, გულწრფელი, ხალისიანი, და, ამავე დროს, უაღრესად საქმიანი გამოსვლებით, მათ თავად ჩაატარეს.



შეხვედრა ძღვეთის ლიდერთან
Meeting with leader of AVNG



Our partners. Vardisubani
ვარდისუბნელი ქალები

☀ ფონდმა, მცირე გრანტით, თანადაფინანსა ორგანიზაციის ქართული ტექსტილის ჯგუფი პროექტი „პროფესიული განათლება სოფლელ ქალებს“. პროექტის ფარგლებში ჯონ მორისმა, ამერიკელმა მხატვარმა და აქტივისტმა, ზემო ალვანსა და ვარძიაში ბუნებრივი საღებავებით ღებვისა და ტექსტილის ხელოვნების სხვა საკითხებში თეორიული და პრაქტიკული სწავლება ჩაუტარა 30 ქართველ მონაწილეს. პროექტი სოფლელ ქალთა ეკონომიკური გაძლიერების თვალსაზრისითაც იყო მნიშვნელოვანი.

☀ 2007 წლის ნოემბერში გამოიცა „სოფლის ღირსება“, მე-6 წიგნი ფონდის ტასო გამოცემათა სერიიდან „ქალთა მეხსიერება“ (2004 წლიდან). წიგნში შესული მასალა 46 რესპონდენტისგანაა ჩაწერილი 29 სოფელში. სხვადასხვა საკითხებს შორის, ყურადღება გამახვილებულია ქალთა შრომით მიგრაციასთან დაკავშირებულ პრობლემებზე. ინტერვიუთა უმრავლესობა ჩაწერილია კონკურსის „ქალთა ეკონომიკური გაძლიერება“ ფარგლებში

პროექტების განხორციელებადობის კვლევის პარალელურად. წიგნის მომზადებაში წვლილი შეიტანა წოვინარ ნაზაროვამ, ექსპერტმა შრომითი მიგრაციისა და ტრეფიკინგის სფეროში.

ჩაპროდუქციული უზღაბები და ჯანმრთელობა

ფონდმა გააგრძელა OSGF ქალთა პროგრამის 2005 წელს დაწყებული თანამშრომლობა „ასტრა ქსელის“ (www.astra.org.pl) წევრ ორგანიზაციასთან ქალთა ცენტრი. ფონდის მხარდაჭერით „ქალთა ცენტრმა“ განახორციელა პროექტი „ხანდაზმულ ქალთა ჯანმრთელობის უფლება“, რომლის ფარგლებში: შექმნილია საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგის პროგრამა და დაინერგა დიპლომის შემდგომი უმაღლესი სამედიცინო განათლების სისტემაში; გამოიცა 3 თემატური ბროშურა („მენოპაუზა ქალებსა და მამაკაცებში“, „საშვილოსნოს ყელის კიბო“, „PAP-ტესტი“); დაიწერა ტექსტის ნაწილი წიგნისთვის „ასაკი და ორგანიზმის ბიოლოგიური საათი“. პროექტის ფარგლებში ია ვერულაშვილმა, პროექტის ხელმძღვანელმა ქალთა ცენტრიდან, მოხსენებით ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ, მონაწილეობა მიიღო ჯანმრთელობის კვლევის მსოფლიო მე-11 ფორუმში (პეკინი).

☀ ფონდმა მოამზადა და გამოსცა ორენოვანი (ქართულად და რუსულად) წიგნი „ასაკი და ორგანიზმის ბიოლოგიური საათი“, რომელიც მოგვითხრობს ხანდაზმულ ასაკში გავრცელებულ დაავადებებზე, როგორც ქალებში, ასევე მამაკაცებში. წიგნის ავტორები არიან პროფ. ია ვერულაშვილი და პროფ. ივანე ვერულაშვილი.

☀ 2007 ფონდმა მოამზადა, დაბეჭდა და გაავრცელა საინფორმაციო პლაკატი აივ-შიდსის შესახებ.




კახელი დარბაისილები
Kakhetian Ladies

ქალთა მიმართ ძალადობის დაქვევა

კონკურსში „თანამშრომლობა ოჯახში ძალადობის კანონის განსახორციელებლად საქართველოს რეგიონებში“, რომელიც 2007 წლის სექტემბერში გამოცხადდა, მონაწილეობა მიიღო საქართველოს რეგიონებში მოქმედმა 18 ორგანიზაციამ. ქალთა უფლებების სფეროში მუშაობის გამოცდილების, პროექტების ხარისხისა და კონკურსის მიზნებთან შესაბამისობის მიხედვით, ფონდის გამგეობამ 2007 წლის ბიუჯეტიდან მხარდასაჭერად ოზურგეთში, ხაშურში, გორში და ქუთაისში მოქმედი 4 ორგანიზაცია შეარჩია (ამავე კონკურსის ფარგლებში, პროექტების ხარისხის გაუმჯობესების შემდეგ, 2008 წელს ფონდმა კიდევ 5 პროექტს დაუჭირა მხარი).

2007 წელს ქვეყანას უკვე ჰქონდა ოჯახში ძალადობისა და ადამიანებით ვაჭრობის საწინააღმდეგო კანონმდებლობა, შემუშავებული ქალთა ორგანიზაციების, მათ შორის OSGF ქალთა პროგრამის ძალისხმევით. გარდა ამისა, 1998-2006 წლებში ქალთა პროგრამა თანმიმდევრულად უჭერდა მხარს იმ ორგანიზაციების გაძლიერებას, რომლებსაც 2007 წლისათვის უკვე წამყვანი პოზიციები ეკავათ ადამიანით ვაჭრობასთან და ოჯახურ ძალადობასთან ბრძოლის სფეროში. ამ კონტექსტში ფონდმა ტასო თავისი ძალისხმევა საქართველოს რეგიონებში მცხოვრებ ქალთა მიმართ ძალადობის გამოვლენისა და აღმოფხვრისკენ მიმართა.



პლაკატი ძალადობის საწინააღმდეგოდ Anti-violence poster. Lagodekhi

შესაბამისად კონკურსის პირობებისა, იმუშავეს შემდეგი მიმართულებებით: ოჯახში ძალადობის კანონის გაცნობითი სემინარები ადგილობრივი პოლიციელებისთვის და ჟურნალისტებისთვის, იძულებით გადაადგილებულთა თემებისთვის; პუბლიკაციები ადგილობრივ პრესაში, რადიოსა და ტელევიზიაში; გასვლითი სემინარები რეგიონის სოფლებში.

ფონდმა თანადაფინანსა ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის (ძდექ) პროექტი „ტრენინგი მოსამართლეებისთვის, პროკურორებისთვის და

პოლიციის ოფიცრებისთვის; საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება იუსტიციის უმაღლესი სკოლისთვის“. ოქტომბერში გაიმართა სამი 2-დღიანი ტრენინგი ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის კონკრეტულ საკითხებზე, ასევე – კოორდინირებულ თანამშრომლობაზე სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის ოჯახში ძალადობის დასაძლევად. ტრენინგებს იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ უმასპინძლა. ტრენინგებს, ერთიანად, 70 მონაწილე დაესწრო: საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოსული და თბილისში მომუშავე მოსამართლეები, პოლიციის ოფიცრები და პროკურორები. ტრენინგები უსასყიდლოდ ჩაატარეს ამერიკელმა პროფესიონალებმა: ქალთა უფლებების დამცველებმა ორგანიზაციიდან ადამიანის უფლებების მინესოტელი ადვოკატები და მოსამართლე ქალებმა.



ამერიკელი ტრენერები American Trainers

ფონდმა ტასო გააგრძელა თანამშრომლობა ასოციაციასთან კანონი ხალხისათვის და მხარი დაუჭირა 2006 წელს დაფინანსებული წარმატებული პროექტის „საქორწინო ხელშეკრულება“ გაგრძელებას. 2007 წელს, პროექტის ფარგლებში, ასოციაციამ, საქორწინო ხელშეკრულების მის მიერ შემუშავებული და იუსტიციის სამინისტროსგან დამტკიცებული ფორმების და პროცედურების შესასწავლად, სემინარები ჩაუტარა ნოტარიუსებს და მოქალაქეთა რეგისტრაციის დაწესებულებების თანამშრომლებს. ოჯახში ძალადობის საკითხებს მიძღვნილ საგანგებო გადაცემაში, რადიო „იმედის“ ეთერში, ფონდის ტასო გენერალურმა დირექტორმა, ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის ლი-



ტრენინგი ნოტარიუსებისთვის Training for notaries

დერთან, ნატო შავლაყაძესთან ერთად, ილაპარაკა საქორწინო ხელშეკრულების მნიშვნელობაზე ქალთა ქონებრივი უფლებების დასაცავად, რაც ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის ერთი უმნიშვნელოვანეს საკითხთაგანია.

გენდერი და განათლება

ფონდის ერთ-ერთი უპირატესი მიზანი გენდერული თანასწორობის მიღწევაა. ინფორმაციის გავრცელება, ცოდნის გადაცემა და ფართო, მკითხველი საზოგადოების ცნობიერების ამაღლება პუბლიკაციებით გენდერულ/სოციალური სამართლიანობის საკითხებზე, ფონდის მუშაობის მნიშვნელოვანი ნაწილია.



მეხსიერების კვლევის ცენტრი ფონდის ნაწილია (2005 წლიდან). ცენტრის ბიბლიოთეკა, ტექსტური, ფოტო და ვიდეო არქივები ღიაა ქალთა ორგანიზაციებისთვის, მკვლევებისთვის, სტუდენტებისთვის. ცენტრის გრძელვადიანი საქმიანობაა ქალთა ზეპირი ისტორიების დოკუმენტირება, დაარქივება, გამოცემა. 2007 წელს მეხსიერების კვლევის ცენტრმა შემდეგი საქმიანობა განახორციელა:

☀ ფონდის სამმა თანამშრომელმა მოწვეულ სპეციალისტთან მეცადინეობით, შეისწავლა ვიდეოგადაღება და ვიდეომასალის კომ-

პიუტერული რედაქტირება.

☀ ჩატარდა ექსპედიცია კახეთში, სადაც შეგროვდა აუდიო, ფოტო და ვიდეო მასალა სოფლად მცხოვრები ქალების მდგომარეობის, მათი ყოფის, ოჯახებისა და სოფლის ისტორიის შესახებ. 7 ქალის უარესად საინტერესო თხრობა ნათელს ჰფენს საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს ეპიზოდებს, დაწყებული XIX საუკუნის ბოლოდან. ზეპირი ისტორიის კვლევაში მთხრობელის პიროვნებაზე ვამახვილებთ ყურადღებას, გვინდა, რომ ჩვენთან თანამშრომლობა მთხრობელებისთვისაც იყოს სასარგებლო და სიხარულის (ხანდახან კი – შვებისაც) მომგვრელი. ამიტომ, ექსპედიციის ფარგლებში მოეწყო წვეულება, მოხუცი ქალები ერთმანეთს შეხვდნენ და გაიხარეს ურთიერთობითა და მათ მიმართ გამოჩენილი ყურადღებით. ექსპედიციამ ფონდის არქივი კახეთის სოფლებში, ძირითადად კი – ახალსოფელში, ქალთა მდგომარეობის ამსახველი 19-საათიანი ვიდეო მასალით შეავსო.

☀ მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე, პროექტის ფარგლებში 2007 წელს სამმა მკვლევარმა იმუშავა ქალთა ზეპირი ისტორიების დოკუმენტირებისთვის თემებზე: სოფლელ ქალთა ეკონომიკური მდგომარეობა, სოფლის მეურნეობის განვითარების სირთულეები, შრომითი მიგრაცია საქართველოს სოფლებიდან. ამავე წელს ქ-მა თამარ მარგანიძე, ჩვენი ინიციატივითა და მხარდაჭერით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ყოფილ თანამშრომლებთან დაიწყო მუშაობა წიგნის შესაქმნელად გამოჩენილი მეცნიერის, ელენე მეტრეველის ცხოვრებასა და ღვაწლზე.



ელენე და ქეთევან მეტრეველები
Sisters Elene and Ketevan Metreveli

☀ ფონდმა ქართულსა და მეგრულ ენებზე გამოსცა „ლოლა ნანა“, ქალთა მეხსიერების სერიის VII წიგნი, უარესად საინტერესო მასალით, რომელიც 2005 წელს, მეგრული ენის ბანკის შექმნა/შენახვის მიზნით, აფხაზეთიდან დევნილი 85 წლის ლოლა ჯგერენაიასგან ჩაიწერა პროფ. მაგალი თიღუამ.

წიგნი ცოცხლად ასახავს მეგრულ სოფელში მცხოვრები ქალის მეხსიერებაში აღბეჭდილ ისტორიულ პროცესებს: დასავლეთ საქართველოს კოლექტივიზაცია, II მსოფლიო ომი, ქართულ-აფხაზური კონფლიქტი და დევნილობა, ასევე - ოჯახური ურთიერთობები, ტრადიციები, მეგრული სამზარეულოს თავისებურებები. წიგნის გამოსაცემად მოსამზადებლად მცირე ინდივიდუალური გრანტით დაფინანსდა ენათმეცნიერი ქ-ნი ლილი ბასილაია, რომელმაც უსასყიდლოდ თარგმნა ლოლა ჯგერენაიას ტექსტი ქართულ ენაზე.



ლოლა ჯგერენაია. 2005
Lola Jgerenaia. 2005

პროგრამა „განათლება უფლებამოსილებისთვის“ 2000-2006 წლების მუშაობის ერთი ძირითადი მიმართულებათაგანი იყო. არაძალადობრივ ფილოსოფიაზე დაფუძნებული სატრენინგო კურსები წარმატებით დაინერგა საქართველოს რეგიონების საჯარო სკოლებში.

2007 წელს, პროგრამის ლიცენზირების, შემდგომგავრცელებისა და გაძლიერების მიზნით, ფონდმა, სამეზავრო გრანტებით, მხარი დაუჭირა პროგრამის 3 ტრენერს: ნელი ნაკაიძეს (მცხეთა), მადონა ჯაბუას (ზუგდიდი) და თამარ დარჩიას (თბილისი), რათა მათ პროგრამის „განათლება უფლებამოსილებისთვის“ ტრენერთა ტრენერის კვალიფიკაცია მიეღოთ. ქართველ მონაწილეებს ქალთა საინფორმაციო და საკონკულტაციო ცენტრში (უკრაინა) ტრენინგი ჩაუტარა ქ-მა ოლენა სუსლოვამ, პროგრამის ავტორმა.

☉ ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის კავკასიის რეგიონალურ ოფისთან თანამშრომლობით ოპერაციული პროექტის ფარგლებში, ფონდმა ტასო 2007 წელს თარგმნა გენდერის სპეციალისტის, თამარ საბედაშვილის ინგლისურ ენაზე შესრულებული გამოკვლევა **„გენდერი და დემოკრატიზაცია: საქართველო: 1991-2006“** და გამოსცა ამავე სახელწოდების ორენოვანი წიგნი. წიგნი, როგორც მნიშვნელოვანი რესურსი ქალთა მოძრაობის გასაძლიერებლად და საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად, დაურიგდა ბიბლიოთეკებს, ქალთა, და სხვა ორგანიზაციებს, და ქალთა ჯგუფებს.

☉ ფონდმა მხარი დაუჭირა საქართველოს ქალთა დასაქმების ხელშეწყობის ასოციაციის „ამაგდარი“ პროექტს „გაეროს სოციალურ-ეკონომიკურ კომიტეტში მესამე პერიოდული, ალტერნატიული ანგარიშის წარდგენა“. ანგარიში მოიცავს საკითხებს შემდეგ სფეროებში: დასაქმება და უმუშევრობა; შემოსავლები და ცხოვრების დონე; საპენსიო უზრუნველყოფა; სოციალური დახმარებები და შეღავათები; სახელმწიფო სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის გავლენა დემოგრაფიულ სიტუაციაზე. ანგარიშს ახლავს გამოყენებული საინფორმაციო მასალის ნუსხა და პროფესიული რეკომენდაციები. ანგარიში მომზადდა გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტში (CESCR) წარსადგენად.

☉ 2007 წელს ფონდმა ტასო წამოიწყო გამოცემათა ახალი სერია „ფემინისტური ბიბლიოთეკა“. სერია მოწოდებულია ქალთა შემოქმედების, ფემინისტური აზროვნების პოპულარიზაციისთვის და გენდერული/



ვირჯინია ვულფი
Virginia Woolf

ქალთა კვლევების განვითარების ხელშესაწყობად. მომზადდა და გამოქვეყნდა პირველი წიგნი, კრებული სახელწოდებით **„საკუთარი ოთახი“**. კრებულში შევიდა ვირჯინია ვულფის ესეე „საკუთარი ოთახი“, რომელიც, ჩვენი მხარდაჭერით, 2006 წელს თარგმნა ლელა სამიაშვილმა, მწერალმა. კრებულის სხვა ავტორები ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ქალები არიან: ბარბარე ჯორჯაძე, ეკატერინე გაბაშვილი, ელენე ლორთქიფანიძე, კატო მიქელაძე, ნინო ნადირაძე, ბაბო სულხანიშვილი, მარიჯანი და ანონიმი ავტორები. წიგნის შედგენაზე იმუშავა მწერალმა ირმა ტაველიძემ.

გენდერი და მედია

☉ ფონდმა გააგრძელა ჟურნალისტთა ქსელის გენდერ მედია კავკასია გამოცემის, რეგიონალური მნიშვნელობის რუსულენოვანი ჟურნალის **„ქალთა დიალოგი“** მხარდაჭერა (მთავარი რედაქტორი: გალინა პეტრიაშვილი).

ეს ილუსტრირებული ჟურნალი, რომელიც წინათ ამერიკულ-რუსულ გამოცემას წარმოადგენდა, საქართველოში ჩვენი მხარდაჭერით 2005 წლიდან გამოდის. ჟურნალში იბეჭდება პოსტ-საბჭოთა და სხვა ქვეყნებიდან მოწოდებული სტატიები და ფოტოები ქალთა მდგომარეობის, ქალთა უფლებების საკითხებზე; შუქდება გლობალური ქალთა მოძრაობის ძირითადი მოვლენები. დიდია ჟურნალის როლი სხვადასხვა ქვეყნის ეროვნულ ქალთა მოძრაობებს შორის სოლიდარობის საქმეში. 2007 წელს გამოვიდა ჟურნალის მე-5 და მე-6 ნომრები.

☉ ფონდმა მცირე გრანტით თანადაფინანსა ორგანიზაციის საქართველოს საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო მოძრაობა „კვალი-XXI“ პროექტი **დოკუმენტური ფილმი „ხმელეთის 0.047%“** (საქართველოს ტერიტორია). ჩვენმა გრანტმა საშუალება მისცა ორგანიზაციას დაესრულებინა გადაღება ვრცელი, ორსაათიანი დოკუმენტური ფილმისა, რომელიც წარმოადგენს ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებს აქცენტით ადამიანზე, მოსახლეობის მდგომარეობაზე. ფონდის არქივმა ამ თანამშრომლობით საინტერესო ვიდეომასალა მიიღო.



გალინა პეტრიაშვილი
Galina Petriashvili

მონაწილეობა საერთაშორისო სამუშაო შეხვედრებში: 2007

ქსელის *The Network AgeNet CA no Borders* (ხანდაზმულთა საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო ქსელი) ყოველწლიურ შეხვედრაში, რასაც მოჰყვა სტრატეგიული დაგეგმარების 5-დღიანი ტრენინგი; აპრილი, ისსა-ყული, ყირგიზეთი.

ამავე ტრენინგში მონაწილეობისთვის ფონდმა სამგზავრო გრანტით დააფინანსა წოვინარ ნაზაროვა, ადამიანთა ჰუმანიტარული განვითარების საზოგადოების ლიდერი.

გენდერული პოლიტიკის საერთაშორისო ქსელის (IGPN; www.igpn.net) ყოველწლიურ შეხვედრაში, რომელიც სტამბულში გაიმართა. ეს მზარდი ორგანიზაცია 2005 წელს დაარსდა, როგორც აღმოსავლეთ ევროპაში და პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში სოროსის ფონდების ქალთა პროგრამებიდან ტრანსფორმირებული ფონდების/ორგანიზაციების ერთობა.

2007 წელს გაყვამული გრანტების ერთიანი თანხა:

62 299 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში;

გაყვამული გრანტების რაოდენობა: 35